სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

მიდი

1993
ხუთშაბათი
25
მარტი
№12 (10603)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით მიდის რუსეთი?

რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები მღელვარების პიკს აღწევს. სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებების პლატფორმათა სპექტრი თავისი შიდაწინააღმდეგობრივი მრავალფეროვნებითა უკიდურესი სიმწვავით წარმოჩნდა ახლახან დამთავრებულ რუსეთის დეპუტატთა მერვე ყრილობაზე. ყველასათვის ცხადი გახდა დებატების უკიდურესი სიმწვავე, კონსერვატორული ძალების აგრესიულობა და ცდა იმისა, რომ ბლოკირება გაეკეთებინათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილებისათვის. დეპუტატთა ამ გუნდს რუსლან ხასბულატოვის მეთაურობით აშკარად განუზრახავს პრეზიდენტის უფლებების სერიოზულად შეზღუდვა. უფრო მეტიც. სახეზეა იმის მცდელობა, რომ ძალაუფლების კანონზომიერი გადანაწილების ნიღბით მოახდინონ ანტიკონსტიტუციური გადატრიალება, და ამას ფაქტიურად მიაღწიეს კიდეც. ხასბულატოვის ბოლო სიტყვაში იმის საშიში სიმპტომებიც კი გამოჩნდა, რომ რუსეთი კვლავ მართონ ჩვეულებრივმა საბჭოებმა. შეიქმნა იმის რეალური საფრთხე, რომ რუსეთში წამოწყებულ დემოკრატიულ რეფორმებს გზა გადაეკეტოს.

და ასეთ დროს, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი აკეთებს თავის მრავლისმთქმელ სატელევიზიო მიმართვას რუსეთის მოქალაქეებისადმი. იგი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას არ დაუთმოს ყრილობას დემოკრატიის მონაპოვრები და თავისი შეუვალი უფლებები. მან ფაქტიურად 21 მარტიდან სათავე დაუდო რუსეთში საპრეზიდენტო მმართველობას, რომელსაც ხვალ და ზეგ, რაღათქმა უნდა, ახალ წინააღმდეგობათა სცილასა და ქარიბდას შორის გავლა მოუწევს.

არავინ არ უწყის, როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთში. რა შედეგს გამოიღებს რეფერენდუმი. ერთი რამ კი ცხადია. ოცი ცხოვრების მოლოდინში არ უნდა ვიყოთ. რუსეთის ხვალინდელი ყოფა თავის გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყანაზეც. სწორედ ეს მომენტი აძლიერებს ინტერესს და თუ გნებავთ ერთგვარ შიშსაც ამუამად იქ შექმნილ ვითარებაზე. განა სადაოა ის, რომ თუ როგორი იქნება ხვალინდელ რუსეთი—დემოკრატიული, თუ ტოტალიტარული, ჩვენც უნდა გვაფიქრებდეს?

ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად წარიმართოს.

ე. არღვლიანი.

პრივატიზაცია უნდა დაჩქარდეს

დღეს, როდესაც სულ უფრო იზრდება კვების პროდუქტებზე ფასები, მთავარია დაჩქარდეს სოფლად მიწის პრივატიზაციის საკითხი, რასაც იმედის თვალით შეჰყურებს ქალაქი.

გლეხისათვის. საკუთრებაში მიწის გადაცემამ, არსებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს პროდუქტიულობის ზრდაზე. გლეხურმა მეურნეობებმა, ფერმერებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა. თუ კი სოფლად მცხოვრებლებს ეყოლებათ მეტი პირუტყვი და ფრინველი, მით უფრო შეუმსუბუქდება პირობები ქალაქს. არადა, წელს ზამთარში შეინიშნებოდა დაკლული პირუტყვის სიმრავლე, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს პროდუქტიულობის ზრდაზე.

ჩემის აზრით, არ არის მიზანშეწონილი საძოვრების ხარჯზე მარცვლეული კულტურების მოყვანა. პირიქით, უნდა გაიზარდოს პირუტყვის საკვები ბაზის ფართობები.

სოფლად პრივატიზაციის დაჩქარება გარანტიაა გლეხის წელში გამართვისა, საკარმიდამო ნაკვეთების გადიდება—ნიშნავს მეტ დოვლათს.

ბ. ალშიბაია.

კონსტანტინე გამსახურდია—100

დიდი საქართველოს შვილი

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიაზე ფიქრი და საუბარი მთელ ქართულ პროზაზე დაკვირვებასა და განსჯას გულისხმობს. მისი შემოქმედების ხიბლი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ახსნილი. ამ მომხიბვლელობას უცილოდ ახლავს რაღაც საიდუმლო, რისი წყალობითაც ესოდენ დიდია კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვის ზემოქმედების ძალა.

კონსტანტინე გამსახურდიამ რაღაც მაგიური ძალით მოჯადოვა ქართველი მკითხველი. მას არც საქართველოს სამანებს გარეთაც დაკლებია თაყვანისმცემელი.

საქართველოში თითქმის ყველამ იცის, რისი ავტორია ბატონი კონსტანტინე, ამიტომ მისი მემკვიდრეობის ზედაპირულ გაცნობას აღარ შევუდგები. მკითხველის ყურადღება მხოლოდ ერთ გამორჩეულ თვისებაზე მინდა გავამახვილო. ეს არის მთლიანობის განცდა. ერთის მხრივ დროთა კავშირის მთლიანობის განცდა, მეორეს მხრივ საქართველოს მთლიანობის განცდა.

მწერალს საკუთარი დროის უმძაფრესი განცდა ახასიათებს. „დიონისეს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“ გვიდასტურებენ, რომ **მეოცე საუკუნე მთელი თავისი** არსით შეიცნო შემოქმედმა, დაამყარა დიდი სულიერი კონტაქტი.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში აწმყო, წარსული და მომავალი ისეა გამთლიანებული, რომ ერთი წამითაც არ სუსტდება განუწყვეტელობის შეგრძნება. ვგრძნობთ, როგორ მოქმედებს სამივე დრო ერთი მიმართულებით და ერთი მიზნით. სწორედ ესაა მწერლის უჩვეულო უნარი. არ წერს იგი ჩვეულებრივ ისტორიულ რომანს, რომელსაც წარსულში გადავყავართ და ისტორიის ჩაბნელებულ ტალანებში შეგვახედებს. წარსული კონსტანტინე გამსახურდიასთვის აწმყოსთან ერთად ცხოვრობს, კი არ გარდასულა, ზურგს უკან დგას, მონაწილეობს ერის ახლანდელ ცხოვრებაში, მოქმედებს, მოძრაობს, როგორც უშრეტი ენერგია.

კონსტანტინე გამსახურდია დიდი საქართველოს შვილია. დიდი საქართველო კი ცარიელი ფრაზა არ არის, არც პათეტიკური შეძახილის ფორმაა იგი, რასაკვირველია. სწორედ აქედან, ასეთი სამშობლოდან მოდიოდა მისი გენი. მისი ქართული სული შემდგომ თვითონ ეძებდა, მიეშურებოდა ასეთ საქართველოსთან შესახვედრად. „მთვარის მოტაცებაშიც“, „დიდ ოსტატის მარჯვენაშიც“ და „დავით აღმაშენებელშიც“ იგი ხედავდა მთლიან, ერთიან, ფსიქოლოგიურად დაუნაწევრებელ ქვეყანას.

„დავით აღმაშენებლის“ გმირები მოქმედებენ და იღწვიან დიდი საქართველოს სახელით. ეს სულისკვეთება ამთლიანებს ყველაფერს მასში. ამასვე მიგვითითებს „დიდოსტატის მარჯვენაც“.

ორი სქელტანიანი ნაწარმოები მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ მეოცე საუკუნის დიდ მოვლენებს: „დიონისეს ღიმილი“ და „ხთვარის მოტაცება“. მოთხრობებსა და წერილებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ორივე რომანი განსაკუთრებული სიმძაფრით ავლენს მწერლის დიდ შინაგან სიცოცხლეს, მის მასშტაბურ ხედვას, რასაც არც ერთი არსებითი მნიშვნელობის ფაქტი არ უსხლტდება, რაც უზუსტესად ამჩნევს თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი დროის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიცნო, გადატანილი კრიზისის არსი ძირის ძირამდე გაგვიცნობიერა და მარადიული სიბრძნე მოგვაწოდა... ამ სიბრძნის წყალობით მოძრაობს მისი სამყარო, როგორც წარსულისაკენ, ასევე მომავლისაკენ.

მ. ჯიქია.

საგაზეთო მოზაიკა

სისხლი ისევ იღვრება

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან „ინტერფაქსს“ კორესპონდენტს აცნობეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში ქართველ დაჭრილთა რაოდენობამ მიაღწია 3059-ს. დაღუპულია 805 მეომარი.

ოჩამჩირის რაიონში გუშინდელი ბრძოლების შედეგად, დაჭრილია 14 ქართველი მეომარი, 10 მათგანი დღეს მოთავსდა თბილისის სტაციონარებში. 3 დაჭრილი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

მათი რიცხვი ლეგიონია

ღღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 20000-მდე სამხედრო პირი, რომლებიც ექვემდებარებიან როგორც სნგ-ს, ასევე უშუალოდ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას. ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ახალქალაქისა და ბათუმის დივიზიები (თითოეულ დივიზიაში 8000-მდე ჯარისკაცია) და სასაზღვრო ჯარებში შემავალი ნაწილები.

„შანსი“

„ვერცხლის დათვი“ გადასცეს

გასულ კვირას ბერლინში დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის შედეგებს კინო მოყვარეები მოუთმენლად ელოდნენ. ძირითად საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა ქართველი რეჟისორის თემურ ბაბლუანის ფილმი „უძინართა მზე“, რომელსაც პრესტიჟული პრიზი „ვერცხლის დათვი“ დაიმსახურა.

„7 დღე“

გარკვეული დროით გადაიდო

მაასტრიხტის შეთანხმებათა მოწინააღმდეგებმა ბრიტანეთის პარლამენტში დროებითი გამარჯვება მოიპოვეს. ხმა მისცეს ხელშეკრულების ტექსტში უმნიშვნელო შესწორების შეტანას. ამის შედეგად ინგლისის მიერ ევროპის გაერთიანების ფარგლებში ერთიანი პოლიტიკური და სავალუტო ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ დოკუმენტების პაკეტის რატიფიკაცია გარკვეული დროით გადაიდო.

„ევროპა ექსპრესი“

სად არის გზა ხსნისა?

დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების იმედი, რალათქმა უნდა, არც თავიდან მქონდა. ეს განწყობილება დაბადა იმან, რომ მათ იარაღის ძალა დაუპირისპირეს ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. რაც თავის თავში იმთავითვე შეიცავდა შემდგომი კონფრონტაციის, ეროვნული მთლიანობის რღვევის პროცესის, შიდა დესტაბილიზაციის განვითარების გარანტიებს.

რესპუბლიკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმედოვნებდა, რომ მომავალში მოვლენები სასიკეთოდ განვითარდებოდა. ამ რწმენით დაუჭირეს მხარი 11 ოქტომბრის არჩევნებს და იმ ერთი პიროვნების, მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის ე. შევარდნაძის კანდიდატურას. მაგრამ დღეს ჩვენ მოწმე ვხდებით ღრმად დამაფიქრებელი რეალიებისა. ქვეყნის ეკონომიკა თითქმის პარალიზებულია. ხალხი ფაქტიურად ელემენტარული სოციალური გარანტიების გარეშეა დარჩენილი. ხელები გვაქვს გაშვერილი რუსეთისკენ, რომ პენსიების და ხელფასების დასარიგებელი კრედიტები გვიწყალობოს. და ისიც არა ჩანს.

სახეზეა მეტად სახიფათო კრიმინოგენური სიტუაცია, ზნეობრივი გადაგვარება, სულიერი პარტახი, განუკითხაობა. მთავრობის მიერ არაერთგზის მოცემული დაპირებები ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა და ამ გაჭირვებათა ფონზე ენით აუწერელი კოშმარი —ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში. ტრაგედია, რამაც ლახვარი ჩასცა ქართველთა ყველა კეთილ ზრახვას და მომავლის გეგმებს.

შექმნილი მდგომარეობა კატასტროფულია. მთელი ქვეყანა გარინდულა მომავალი სასიკეთო გარდატეხის მოლოდინში. ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის იმპერიულ ძალებთან იარაღით დაპირისპირება სიკეთეს ვერ მოგვიტანს. საჭიროა ისევ და ისევ პრობლემის პოლიტიკური გზებით დარეგულირება. სამშობლო ერთია და არჩევანის საშუალება არა გვაქვს. უნდა გამოინახოს ის ერთადერთი, სწორი გზა ხსნისა, რომელიც გადაარჩენს საქართველოს.

ვ. გულუა.

მარტოხელა დედა

(მინიატურა)

ყოველ მეორე დღეს მიხდება სამეცადინოდ წასვლა ჩემს მეგობრებთან ერთად. სანამ მასწავლებელთან ავალთ (სანამ ავირბენთ ბინის საფეხურებს) ჩვენს თვალს არ გამოეპარება ერთი ბინის პატარა ოთახიდან გამომზირალი ქართველი დედა, დედა—მარტოხელა!

მოხუცდა დედა...

ალბათ ერთ დროს სიცოცხლით ალსავსე და კეკლუცი იყო, ქართველი ქალის შემართებაც შვენოდა უთუოდ, მაგრამ დრო... ულმობელია ჟამთა მარადიული მდინარება.

მოხუცდა დედა... ის მარტო ცხოვრობს, სულ მარტო!

ერთ დღეს, როდესაც ყინულის მარწუხებში იყო მოქცეული მთელი მიდამო, რაღაც გასჭირვებია და ჯოხზე დაყრდნობილი ჩამოსულა ბინიდან. მის დანახვაზე გავშეშდით: როგორ, ჩვენ, ახალგაზრდებს გვიჭირს სიარული და ნეტავ საით გაუწევია მოხუც დედას? ჩვენს დანახვაზე ასე თქვა: „ეჰ, შვილებო, მეც ვიყავი საამაყო დედა, მეც გამიზრდია სამშობლოს ერთგული შვილები, მეც მიცხოვრია ტკბილად, მაგრამ... ეეჰა!“ —ამოიოხრა, და ვინ იცის, რა ბოღმა ამოაყოლა ამ სიტყვებს

მართლაც ჰყოლია საამაყო შვილი—მხატვარი. ამაში მე და ჩემი მეგობრები დავრწმუნდით, როდესაც მოხუცმა დედამ თავის ბინაში შეგვიყვანა და წუხილი გაგვიზიარა. იმ ოთახის კედლები, სადაც მარტოხელა დედა ცხოვრობს, უმშვენიერესი ფერწერული ტილოებით იყო მოფენილი...

ამ ზამთარს შევესწარით იმასაც თუ როგორ სთხოვდა მეზობელ ქალს, თოვლიან-გაყინულ ამინდში: გეხვეწები, მიპასუხე, პურის მაღაზია თუ არის გაღებულიო. ღვთისნიერმა ქალმა თვითონ მოუტანა პური მარტოხელა დედას.

ბევრჯერ მიფიქრია მასზე: როგორ ძლებს მარტო? ვის უზიარებს დარდსა და ვარამს? რას მოელის...

მეცოდები, შაოსანო დედავ!

ადამიანებო, მიმოვიხედოთ გარშემო, ბევრ საწყალობელს აღმოვაჩენთ, მივხედოთ მათ და ღმერთი სიკეთით შეგვეწევა. მარტო საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნვა რა ბედენაა?

ლელა ნინუა,
№ 11 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

საგულისხმო რეპლიკა

მიწას მიაშურეთ, ბიჭებო!

ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა რომ სავალალოა არავითარ ეჭვს არ იწვევს. თვალსა და ხელს შუა შემოგვადნა მითი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს სათავეში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ საგრძნობი გარდატეხა მოხდებოდა ქვეყნის ეკონომიკაში, ლაღი ნაბიჯებით დაიძვრებოდა წინ ეკონომიკური რეფორმები, დაუყოვნებლივ განხორციელდებოდა პრივატიზაციის პროცესი და ა. შ. თუ როგორ შესრულდა ეს დანაპირები, ყველანი კარგად ვხედავთ.

რეფორმების ხორცშესხმის გზაზე თავჩენილ ვიწრო ადგილებს ზუგდიდის მაგალითზეც მშვენივრად ვხედავთ. მაგრამ ამაზე გაუთავებელ წუწუნს არაფერი სასიკეთოს მოტანა აღარ შეუძლია. სჯობია დაუყოვნებლივ გადაიდგას რეალური ნაბიჯები პრაქტიკული საკითხების მოგვარებისათვის. ბოლოს და ბოლოს უნდა გამოინახოს ისეთი ქმედითი ბერკეტები, რომლებიც რეგიონის წინაშე მდგარი პრაგმატული ინტერესების რეალიზაციის საშუალებას მოგვცემს. ვერავინ ვერ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ რესურსები გამოგველია. რაც არ უნდა აფერხებდეს სასოფლო წარმოებას ნაწილობრივ დღემდე მოქმედი სოციალისტური მექანიზმები, რაღაც ოპტიმალური სქემების გამოძებნა და ამოქმედება ნამდვილად არის შესაძლებელი.

ამ წერილით გვინდა წინ წამოვწიოთ ერთი ასეთი საკითხი. საუბარია ქალაქად ყოველგვარი სამუშაოს გარეშე დარჩენილი უმუშევარი მასის ამოქმედების პრობლემაზე. ასეულობით ადამიანი ყოველგვარი ფუნქციის, კონკრეტული მიზნის, ყოველდღიური ამოცანის მიღმაა დარჩენილი. ავილოთ თუნდაც ახალგაზრდების ბედი. არ მოიძებნება ისეთი ქუჩა, უბანი, სადაც უსაქმოდ მოყიალე ყმაწვილკაცობის მოზრდილ ჯგუფებს არ წააწყდე. დადიან გუნდებად, არ იციან, რით შეიქციონ თავი. ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, ასეთ უთავბოლო წანწალში მოლიპულ გზასაც დგება.

ამ კატეგორიის ახალგაზრდებზე უნდა იფიქროს ყველამ. ქუჩის კომიტეტმა, მშობლებმა, საწარმოს ხელმძღვანელობამ, ქალაქის მმართველმა ორგანოებმა. რაღათქმა უნდა, საკუთარი ბედის გარკვევაზე, ამ საოცრად აწეწილ დროში თვითდამკვიდრების პრობლემაზე ფიქრი მართებთ თვით ახალგაზრდებს. რატომ არ შეიძლება შემდგომი რეალური განვითარება პოვოს თუნდაც ასეთმა იდეამ: შეიქმნას ადგილებზე საინიციატივო ჯგუფები და მათ ყველაფერი იღონონ კოლექტიური ნაკვეთის აღება-დამუშავებისათვის. თავისუფალი, ნასვენი, მიგდებული მიწის ფართობების გამოძებნა სოფლებში არ ჭირს. ოღონდ მონდომება იყოს და შეუძლებელი არაფერია მავანმა შესაძლოა საწვავის, ტრანსპორტის უქონლობა მოიმიზეზოს. რა დროს მიზეზების მოშველიებაზეა საუბარი, ბატონებო. რეგიონს სურსათის არნახული დეფიციტი აჭერს ბრჭყალებს. თითოეულმა ჩვენგანმა ხელი უნდა წავიკაპიწოთ და სრული ძალით შევეჭიდოთ მიწას, რათა შიმშილს გადავურჩეთ.

წარმოუდგენელია იმის გაფიქრებაც, რომ სოფლის გამგებლები დახმარების ხელს არ შემოაშველებენ ქალაქიდან წამოსულ მოხალისეებს. სასურველია, პირველ რიგში ახლომახლო სოფლის თავკაცებმა მოიმოქმედონ ეს.

ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს კი ასე მინდა მივმართო: შეგროვდით, ამხანაგობები შექმენით ბიჭებო და მიაშურეთ სოფლებს. მოითხოვეთ მიწის ნაკვეთები და დაამუშავეთ იგი. თუ გული გულობს, მიწას ბარითაც, ტრადიციული ნადის წესითაც დაამუშავებს კაცი. ერთმანეთის მხარდამხარ შრომით მოიწიეთ მოსავალი. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს პროცესი არნახულ ხალისსაც შეგმატებთ, მუშაობისადმი ინტერესს ჩაგინერგავთ, ნებისყოფას გაგიმტკიცებთ.

მხოლოდ ოფლის ღვრით, წვადაგვით გულმოდგინებით მოიპოვება შინაგანი კმაყოფილება. ბოლოსდაბოლოს ხომ შრომაა ყველაზე დიდი სიქველე ამ ქვეყანაზე.

ა. პაპავა.

27 მარტი—თეატრის საერთაშორისო დღე

მარადიული სიყვარული

ეს თარიღი თეატრის მოღვაწეებს ეკუთვნით. იმ ადამიანებს რომლებმაც საკუთარი გულის კარნახით იკისრეს საპატიო და მძიმე მისია —თეატრალური ხელოვნების მსახურად ყოფნის ტვირთის ზიდვა. რიგითი მაყურებელი, ვინც ჩაუხედავია სცენიური შემოქმედების უცნაურ ლაბორატორიაში, ვერ წარმოიდგენს. თუ რაოდენ ჯოჯოხეთურ შრომასთან, ყოველდღიურ ოფლის ღვრასთან, სულიერი და ფიზიკური ძალების უშურველად გაღებასთან არის დაკავშირებული ყოველივე ეს. ლამაზი, თვალისმომჭრელი დეკორაციების, გაჩახჩახებული რამპის მიღმა იმალება აქტიორის, რეჟისორის, მხატვრის, სცენის ნებისმიერი რანგის მსახურის რთული შინაგანი ყოფა, პიროვნული ბედი უამრავი სიძნელეებით, კოლიზიებით. წმინდა სოციალურ მომენტებთან ერთად ამ სფეროში თავს იჩენს ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლები, მეტწილად იდუმალებით მოცული. მართალია, თეატრის მოღვაწის ცხოვრებას ეს და სხვა უამრავი ბოლომდე გაუშიფრავი ნიუანსებიც ახლავს, მაგრამ ყველაფერი ეს გაჯერებულია შინაგანი სულიერი მოტივებით, ემოციური სისავსით და ამაღლებული განწყობილებებით. ყოველივე ეს კი ერთობლიობაში ქმნის იმ ამაღლებულ, მომაჯადოებელ სამყაროს, რასაც თეატრი ქვია.

27 მარტი მსოფლიო თეატრის დღეა. ამ თარიღზე ფიქრისას ნებისმიერი თეატრის მოყვარულის ცნობიერებაში თავისებური ხიბლით წარმოჩინდება თეატრალურ კორიფეთა მიერ განსახიერებული სცენიური სახეები. ბევრი მათგანი თეატრალურ სასწაულად არის აღიარებული. ჩვენს მეხსიერებას დაფიქსირებული აქვს ჩვენი დროის კორიფეების— ინგლისელი ოლივიეს, ფრანგი გაბენის, ამერიკელი სპენსერის, რუსი სმოკტუნოვსკის, სომეხი ფაფაზიანის და სხვათა მიერ ხორცშესხმული შედევრები. და ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში განუმეორებელი თვითმყოფადობითაა ჩაწერილი ქართველი დიდოსტატების: ვერიკო ანჯაფარიძის, სანდრო ახმეტელის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ეროსი მანჯგალაძის, რამაზ ჩხიკვაძის და სხვათა სახელები.

თეატრის ანდამატი. რამდენი ენით გამოუთქმელი ვნება და სილამაზე, სულიერი გვემა, თუ ალმაფრენა იკითხება ამ სიტყვების მიღმა. ეს ხომ მარადიული სიყვარულია ჩვენი. სცენიური ხელოვნება ყოველ ჩვენგანს გვჭირდება. როგორც ჰაერი, როგორც იმედი. რა უნდა შეედაროს მშვენიერთან შეხვედრის სანეტარო წუთებს. დაღლილ-დაქანცულებს, უნუგეშოდ შთენილთ თეატრი გვანიჭებს შვებას. ყოველდღიური, ნაცრისფერი სინამდვილიდან გაქცევა მოგინდება? ისევ თეატრმა უნდა გიშველოს. თეატრს შეუძლია ტკივილი გაგიჩინოს, მაგრამ ამ ტკივილს მალამოსაც ადებს.

თეატრს ძალუძს სულიერად გატეხილი გაამხნევოს, ადამიანში ღრმად დაფლული მანკიერი თვისებები ღირსებად გარდაქმნას. სწორედ ასეთ თეატრს ესწრაფვის მაყურებელი.

თეატრის საერთაშორისო დღეზე ფიქრისას ჩვენი მშობლიური ზუგდიდის თეატრის პრობლემები, მისი დღევანდელი, გაუსაძლისი ყოფა გვიდგას თვალწინ. იგი ფაქტიურად დადუმებულია. არა და ძნელად შესაგუებელია ასეთი მდგომარეობა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კვლავ აღორძინდეს მისი სიცოცხლე. კვლავ ვიხილოთ ჩვენი საყვარელი მსახიობების შთაგონებული თამაში.

სწორედ მათ ვულოცავთ პირველ რიგში თეატრის დღეს. და მათთან ერთად ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს და მაყურებელს, რომელთაც უთეატროდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ.

თვალსაზრისი

დემაგოგთა „საზრისი“

წავიკითხე ბატონ აკაკი ვასაძის „წერილი მეორე“ — „არის კი შანსი გადარჩენის“? (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 თებერვალი 1993წ.)

ბატონი აკაკი „იგავური ვარიაციებით“ იწყებს წერილს: „წყალწაღებულს მოულოდნელად ვინმე ხელს თუ გაუწვდის — თვითონაც უნდა მოიმართოს ამ „ბედნიერი მოულოდნელობის“ „გამოსაყენებლადო“.

„მოულოდნელად“ გამოჩენილ „შემძლე მშველელს“ ლომის წილი თუ მიუძღვის ჩვენს „წყალწაღებაში“ რა ვქნათ მაშინ? მაინც ვენდოთ და ჩავჭიდოთ ხელი?

„რომელია ის ძალა, წყალწაღებულს რომ გეშავს თავის გადასარჩენად და, უკიდურეს გასაჭირში, ერთმანეთზე წაკიდებულ მეზობლებსაც ერთის ვნებით შეაკავშირებს?

ეს ძალა — სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტი“-ო, — პასუხსაც იქვე იძლევა პატივცემული ავტორი.

„ჩვენ რომ ვართ, ამ ყოფაში „სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტს“ სრულიად კანონზომიერად უნდა ემძლავრა...“ „...ქართველობა უნდა დაეგეშა „გადასარჩენად“. აკი, იყო ამის ნიშნები, — ბრძანებს ბატონი აკაკი. მოყავს ფაქტებიც: ქართველთა დარაზმულობა აფხაზეთში „სიკვდილის ცეცხლის“ დაქთებისას და ედუარდ შევარდნაძის „შემძლე მშველელად“ დასახვით „ზღვა ხალხის გამოცხადება“ საარჩევნო უბნებში. სწუხს ბატონი აკაკი ამ ინსტინქტის ამოქმედებას დროებითი და ლოკალური ხასიათი მიენიჭაო. არაფერს ამბობს იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ამ ინსტინქტის დროებითობა და ლოკალურობა, დროებითი და ლოკალური იქნებოდა, რადგან ეს ბინით იყო გაზაღებული. როგორც კი გაუ-რა ძიშმა ქართველობას, დაფიქრდა და მიხვდა, თუ რატომ აღმოჩნდა „ამ ყოფაში“. ვინ გაუხადა „სიცოცხლე გადასარჩენად“. რატომ არის დღეს უპირველესი მიზანი „ბრძოლა გადარჩენისათვის“.

„ხაოლსა რომ ცეცხლი წაეკიდა, მომდურავიც წამებიდაო“ — ისევ იგავური ვარიაციებს მიანართავს ბატონი აკაკი. საკუთარ სახლს თქვენვე წაუკიდეთ ცეცხლი და ამით გაოცებული „მომდურავი“ კიდევ უფრო გააოცა და გააოგა „ცეცხლის ჩასაერობად“ „ხანძრის კატალიზატორის“ მოხმობამ.

„რა აპირობებს 1992 წლის არჩევნების პერიოდში ამ ინსტიქტით დამუხტული სივრცის ლოკალიზაციას? რა განაპირობებს რაოდენობრივ ზრდას იმ ადამიანებისა, რომელთა თვალთახედვაში ედუარდ შევარდნაძის როგორც „შემძლე მშველელის“ ხატი, ფერკმრთალდება?“ —ამის მსგავსი და სხვა კითხვები ებადება პატივცემულ აკაკის. რამ განაპირობა? — სიხლიანმა ერთმა წელმა, შიმშილის ცელმა, ოთხგზის „დალაშქრულმა“ სამეგრელომ, დაკარგულმა სამჩაბლომ, დაკარგვის ზღვარზე მისულმა იავარქმნილმა აფხაზეთმა, ათასობით ლტოლვილმა, ახალი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საშიშროებამ... არაფერშუაშია „საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სისუსტე“. ტყუილად წუწუნებთ „საინფორმაციო საშუალებების იდეოლოგიურ-ინფორმაციული“ მუშაობის სისუსტეზე. კომშარული ერთი წლისა და „პარლამენტარების საქმიანი“ სხდომების „წყალობით“ ყველა საღად მოაზროვნე დარწმუნდა, რომ საქართველოს ხსნა — კანონიერი პრეზიდენტისა და პარლამენტის დაბრუნებაშია.

„...საქართველოდან ექსპრეზიდენტის გაქცევაც, მისი მარშრუტიც თბილისიდან გროზნომდე, მისი იქ ყოფნის და ბრძოლის სტილიც, მისი საზღვარგარეთული ვოიაჟის ხასიათიც — უწინდელი „ცენტრის“ და ახლანდელი „რეაქციული რუსეთის“ დაგეგმილია და არსებითად იძულებითია...“ — მაოცებს თქვენი წინდაუზედავი „გულახდილობა“. კი, მაგრამ თქვენ „დეკემბერ-იანვრის“ ვაკხანალიის აქტიური მონაწილენი (იარაღით თუ უიარაღოდ) რატომ ასრულებდით უწინდელი „ცენტრისა“ და ახლანდელი „რეაქციული რუსეთის“ დ კვეთას? რატომ აღმოჩნდით ბრძა იარაღი მტრის ხელში? რატომ აღმოჩნდით მტრის საქმის უბადლო შემსრულებლები?

პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნებისას, თუ კი „ვაი-უშველებელის“ დატრიალებით, ერთძახეთის ამოუუყვი რეაქციული რუსეთი იქნება დაინტერესებული და ცხადია ეს ასეცაა, მაშინ რატომ უნდა წამოვეგოთ მტრის ანკესზე და რატომ უნდა გავიმეოროთ დეკემბერ-იანვრის ვაკხანალია? რატომ უნდა ავუხდინოთ მტერს ოცნება-„გრუზია ბეზ გრუზინა?!..

მტრის სანუკვარი ოცნების ახდენისათვის წელიწადზე მეტია ირჯებით და ახლა სხვას უკიეინებთ? ამაოდ, პრეზიდენტის მომხრე ქართველობა არასოდეს არ მიუშვებს მტრის წისქვილზე წყალს.

თუკი შევარდნაძე „რეაქციულ რუსეთს“ არ აწყობს საქართველოში, გაუგზავნიდა ვითომ შევარდნაძეც გაუყენოს ემიგრაციის გზას, თუნდაც გერმანიაში? როგორც ზვიად გამსახურდია გაუყენა ჩეჩნეთის გზას.

მტკიცება იმისა, რომ შევარდნაძის ჩამოსვლით სისხლისმღვრელი შეჯახებები განიმუხტა საქართველოში, იგი რომ ;რა, სიხლის ტაორებით დაიფარებოდა ს ქართველო — ყოველგვარ ლოგიკას ოკლებულია, რადგან „თვით ზედაპირზე არსებული ობიექტები კი სვას მეტეველებს“.

ბატონო აკაკი! როგორ ;ეგიბლიათ წერილი ისეთი რამ, რომლის წაკითხვასაც ფაქტობრივი ;ელისუფლეების ;ომარეეებიც და სიკრთლის გულში ჩუაად ა-დიარებლებიც ;ეს ;ლო ;ოოსიით ;ალიმონ.

წერილიდან სრჩება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ომი— გაგრა-ლესელიძის ჩაბარება, სამეგრელოს არაერთგზის დალაშქვა, ეკონომიკური სიდუჭირე, ათასობით ლტოლვილი თუ სხვა „ვაი-უშველებელი“ ხელოვნურად „სიცოცხლის გადარჩენის ინსტიტუტის“ თვითმარქვია ხელისუფლებისათვის სასურველი მიმ-ა;ელებო , ;ს მოქმედებლად და „ოვედის არჩევნების“ ჩასატარებლად გთამაშდა. ვაი, ახეთ თამაშს.

„სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტი“, სისრულით და მასშტაბურობით გამოვლინდება, ოლონდ არა იმ მიმართულებით თქვენ, რომ ფიკრობთ, რადგან ქართველი ხალხი არ არის ისე უგუნური, ზოგს რომ მგონია.

დ. შერიზია.

წარსულის ფურცლებიდან

დ ა დ ი ა ნ ი...

როგორც ცნობილია, დადიანებად ოდიშ-სამეგრელოს ერისთავ-ერისთავები იწოდებოდნენ. ამასთანავე დადიანი გვარ-სახელიც იყო. ეს გვარი ახლაცაა და წარსულში გაძოჩენილ გვართა რიგს განეკუთვნება.

დადიანთა საგვარეულოს მოღვაწე პირველად იხსენიება მე-11 საუკუნის წერილობით წყაროებში, იგი დამოწმებულია „მატიანე ქართლისაჲ“ (ივანე დადიანი). ცნობილი იყვნენ თამარ მეფის დროს მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, შემდეგ — გმირი ცოტნე და სხვები.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ტერმინი „დადიანი“ თავდაპირველად საგვარეულო სახელწოდებას, პიროვნების გვარ-სახელს აღნიშნავდა. პოლიტიკური შინაარსის მატარებლად, თანამდებობის მაუწყებლად იგი უფრო გვიან იქცა. როგორც ჩანს, დადიანის გვარის ადამიანების თანმიმდევარმა თანამდებობრივმა აღზევებამ დაამკვიდრა ეს სახელი სატიტულო სახელწოდებად და ამის შემდეგ ვინც უნდა გამთავრებულიყო ოდიშში იგი დადიანად იწოდებოდა (ბოლოს ჩიქოვანის გვარი დაწინაურდა), რომელიც აგრეთვე მთელი შუამმავლობის გვარსახელიც ხდებოდა.

დადიანთა საგვარეულოს წარმომავლობისა და თვით ტერმინ დადიანის ეტიმოლოგიური საფუძვლების შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ქართველი მკვლევარების გარდა მისი ახსნა უცხოელმა ავტორებმაც სცადეს.

ცნობილი მკვლევარის პაულე ინგოროყვას აზრით, დადიანების საგვარეულო სახელს საფუძვლად უდევს ოდიშის ერისთავების სარეზიდენციო ადგილის სახელწოდება. მისი მტკიცებით, მდინარე დადის წყალზე (ნახსენები იყო მდინარე ენგურის ჩრდილოეთით) მდებარე ერისთავთა ციხესიმაგრემ („დადის ციხემ“) განაპირობა გვარ-სახელი დადიანი.

საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სხვა აზრისაა. მას მიაჩნია, რომ გვარ-სახელი დადიანი ნაწარმოებია არა სარეზიდენციო ციხესიმაგრის ადგილის სახელწოდებიდან, არამედ ადამიანის საკუთარი სახელიდან, რომ თვით ეს ციხე ატარებდა მისი მფლობელის სახელს.

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით „დადიანი“ იყოფა საკუთარ სახელად („დად“) და კუთვნილების აღმნიშვნელ სუფიქსად („იან“, „ან“), რომლის მეშვეობით ადამიანის საკუთარი სახელი (გვარის, სახლის მეთაურის სახელი) იქცა ნათესაურ კრებად გვარ-სახელად („დადიანი“). ეს სუფიქსები ამ შემთხვევაში ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც სხვა გვარებისათვის „შვილი“, „ძე“ და ა. შ. თავისი აზრის გასამტკიცებლად აკადემიკოსმა მოიშველია სვანეთის ძველი (13-14 საუკ.) მატიანეც, სადაც მოხსენიებული არიან დადისშვილები და დადისძეები (ე. ი. „დად“ საკუთარი სახელია).

ჩვენ მოკლედ გადმოვეცით ორი ძირითადი თვალსაზრისი. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, არის კიდევ მრავალი მოსაზრება ამ თემაზე. ეს მოსაზრებანი განხილული აქვს პროფესორ თამაზ ბერაძეს (იხ. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 3, 1967 წ.). ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მოსაზრება გაანალიზა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა ილია ანთელავამ (იხ. მისი ნაშრომი „ლევან დადიანი“ 1990 წ.) და საკუთარი აზრიც გამოთქვა.

დადიანის სახელწოდებას ეტიმოლოგიურ საფუძვლად კალისტრატე სამუშიას პატრიარქატის დროიდან მომდინარე ადგილობრივი „დადა-დადის“ სახელი მიაჩნია. ისიც ითქვა, რომ დადიანები თავიანთ საგვარეულოს სახელწოდებას შუმერული ჭექ-ქუხილის ღმერთ „ადადიდან“ გადმოღებულად თვლიდნენო. არის ამ სახელწოდების ახსნის ხალხური ვარიანტებიც. ისეთი ავტორებიც არიან, რომლებიც უცხოურ ნიადაგზე ხსნიან დადიანის სახელწოდების წარმოშობას.

აზრები და მტკიცებანი სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგრამ ის კი ნამდვილად უნდა ითქვას, რომ დადიანის სახელწოდება უცხოური წარმოშობის არ არის, იგი ადგილობრივია და ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას (დაწვრილებით იხ. მისი „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტომი პირველი გვ. 338, 344) ამ სახელწოდების ადგილობრივობისა და მისი წარმოშობის შესახებ დამაჯერებელი მეცნიერული საფუძველი გააჩნია.

მამანტი პაჭკორია,
ზუგდიდის დაწოუკიდებელი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ლექტორი.

არნოლდ თირქიას ხსოვნას

ქველი საქმისთვის შემართული, გაყოფასწორებული, შუბლგახსნილი — მეტყველად ასეთი გვახსოვხარ, საყვარელო არნოლდ. და ეს არ იყო მხოლოდ შინაურებისთვის გამეტებული „ულუფა“ დიდსულოვანებისა. ეს შენი აზროვნების და ქცევის წესიდან ნომდინარე, შენი სულის სიღრმიდან ამონაბუქი მადლი იყო, რომლითაც ეგებებოდი ათასნაირი საკითხის გასარკვევად თუ მოსაგვარებლად რედაქციაში ამოსულ უამრავ მკითხველს.

გარეშემ შესაძლოა ნაკლებად, მაგრამ ჩვენ ხომ შესანიშნავად ვუწყით: პასუხისმგებელი მდივნის ვაბტი სულ სხვა სიძნელის ჭაპანია და მას წლების მანძილზე ეზიდებოდი უხმაუროდ, საქმეს ცოდნით.

არ გჩვეოდა ზოგიერთებივით საკუთარი ღირსებების: კარეოჯახიშვილობის, უბრალოების, ალალმართლობის საგანგებოდ გამოჩენა, მაგრამ მაინც ისევე ვერ ახერხებდი ამას, როგორც ყვავილი ვერ მოახერხებს სილამაზის დამალვას.

ოდიშური ზრდილობა-თავაზიანობით შემკულს მოგდგამდა იმის უნარ-წადილი, რომ უმცროსუფროსობის ოიტისოდენა მიჯნაც არ დაგერღვია.

ამ მხრივაც ნამდვილი შენაძენი იყავი ჩვენი პატარა კოლექტივისათვის, რამეთუ ჟურნალისტებმა კარგად ვუწყით ფასი სათნოების კვალში ჩამდგარი, მშვიდი და უპრეტენზიო მუშაკისა, რომლის შემწეობით ზედმიწევნით მომქანცველი საგაზეთო საქმიანობა ასატანი ხდება და თავის პროფესიულ ხიბლსაც ინარჩუნებს.

უდაოდ აჩნდა რაღაც სხვანაირი, დვთაებრივი ტვიფარი შენს სპეტაკ სულს. მაინც, როცა შენს ხორბლისფერ სასეს ნელნელა ეძალებოდა ავის მომასწავებელი იერი, ბოლომდე რჩებოდი სულიერად გაუტეხელ რაინდად, ღიმილის კაცად. სიცოცხლესთან გამოთხოვების იმ შემზარავ წუთებში უნივერსიტეტის მთელი კურსი შენთან იყო.

ასე ლამაზად წასვლა ალბათ რჩეულთა ხვედრია ამ წუთისოფელში.

აი, ხუთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან და... ისევ იმუამინდელი ტკივილით გვემძიმება უშენობა, მარად დაუვიწყარო არნოლდ. ამ მონატრებას რაღაც უნდა დაუდოს ზღვარი. გვეწანება, რომ შენს ლამაზ, მაგრამ ოდნავ უიღბლო ანალგაზრდულ წლებს პირადი ბედნიერების ფრთამალმა ტაიჭმა გვერდით ჩაუქროლა. ამიტომ შენს საფლავს ალბათ ძველი თბილისელი აშუღის ეს პატარა ეპიტაფია უფრო მოუხდებოდა: „საქორწილოდ გამზადებულს წილად მერგო ეს სამარე“...

დღეს შენი გახსენების დღეა. დ ჩვენც, თვალცრემლიანები გიგონებთ, მეგობარო. გჯეროდეს: იქ, მშობლიური ყულიშარის ერთ მიმცრო ბექობზე გაჭრილი შენი სამარის ბორცვი ჩვენს ატკიებულ სულს ბოლომდე შემორჩება შეუბორცებელ იარად.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის კოლექტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა

მამუკა ცხადაია

23 მარტი შენი დაბადების დღეა, მამუკა... იესოს ასაკს ვერ შეესწარი... უშვილძიროდ წახვედი ამ ქვეყნიდან. თუმცა შენი ნაკვალევი მუდამ შერჩება ქართულ მიწას.

საზოგადოება „ხსოვნა“ პატივს მიაგებს შენს ნათელ ხსოვნას და პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის მიერ შენდამი მიძღვნილი ლექსით, როგორც ცოცხალს, [illegible]რდით მყოფს, გილოცავს დაბადების დღეს.

მოლოდინის ღამე

მხატვარ მამუკა ცხადაიას

მოლოდინის გადაგლალა ღამემ,
გაგაწამა უნაპირო სევდამ,
დაიძინე, დაიძინე იქნებ,
დაგესიზმროს გელათი და
მცხეთა.
დაიძინე, დაიძინე იქნებ
დაივიწყო ჟამი ტყვიისფერი,
თორემ ცხადში დაგიხვრიტავს
ფიქრებს
მოღალატის სისხლიანი ხელი.
დაიძინე, დაიძინე, ძმაო,
გამოთალე მარმარილოს ლოდი,
ჩქარა, თორემ გელის სასაკლაო
ჩქარა, თორემ განსცადელი
მოდის.
ო, სიზმრებში დაივიწყებ
ტკივილს,
დაივიწყებ ომებსა და ღალატს,
და ღრუბლებზე ფეხშიშველი
ივლი,
გააშენებ საოცნებო ქალაქს.
და მოხატავ ტაძრებსა და
კოშკებს,
და ააგებ, რაც არ აგიგია!
დაიძინე, დაიძინე იქნებ,
აიცდინე ძმათამკვლელის ტყვია!
ვიცი, ჩემი ვედრებაა ფუჭი,
საქართველოს გაუთენებ ღამეს,
რადგან სისხლი არ გასვენებს
ქუჩის
და პირისპირ შეებმება კაენს.
და გაიხდი შემოქმედის სამოსს,
ვით მარცვალი ჩავარდები
ხნულში,
შენს ნახატებს ეტკინებათ, ძმაო,
შენ რომ ტყვია დაგეხლება
შუბლში.
გადამღალა, გადამღალა ღამემ,
გამაწამა უნაპირო სევდამ,
დავიძინო, დავიძინო იქნებ
დამესიზმროს გელათი და
მცხეთა.
დავიძინო, დავიძინო იქნებ,
დავივიწყო ჟამი ტყვიისფერი,
სადაც, ცაზე ეფერება ნისლებს
არსაკიძის მოკვეთილი ხელი.
ღამეა და ჩემს ნახატებს ვუმზერ,
ღამეა და უსაშველოდ მცივა,
როგორც ვინმე უპატრონო ჩიტი
ვტირივარ და საქართველო
მტკივა.

თინათინ მღვდლიაშვილი,
1993 წ. 24 თებერვალი
თბილისი

სპორტი

თავი ისახელეს

ამას წინათ ქალაქ კასპში ჩატარდა შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში, რომლის მიზანი იყო უძლიერესი სპორტსმენების გამოვლენა და მათგან რესპუბლიკური ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება. ამ ფართო წარმომადგენლობით შესარჩევ ტურნირში ზუგდიდის გუნდი წარმოდგენილი იყო ორი მოჭიდავით (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ედუარდ კვიციანი). 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ქ. ზუგდიდის № 6 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ გივი ასათიანმა. მეორე ადგილს დასჯერდა მისი თანაგუნდელი ლაშა ფიფია.

—ლაშა ძალზე ძლიერი სამბისტია, ჩემპიონატებსა და ტურნირებში არაერთხელ მოუპოვებია პირველი ადგილი. ამჯერად მხოლოდ შემთხვევის თუ სპორტული უიღბლობის გამო ვერ გახდა ჩემპიონი, — ასე დაახასიათა გივი ასათიანმა მეგობარი.

პერსპექტიული ჭაბუკი მოჭიდავე გ. ასათიანი მეოთხე წელია ინტენსიურად ვარჯიშობს, გარდა სამბოსი იტაცებს ქართული ჭიდაობაც, ფიქრობს სერიოზულად გაჰყვეს არჩეულ გზას, არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების პრიზიორი...

აქვე დავძენთ, რომ ჩვენს მოჭიდავეებს ნორმალური კი არა, ელემენტარული პირობებიც არა აქვთ წვრთნა-ვარჯიშისა. ასეთ ფონზე მით უფრო დასაფასებელია მათი ყოველი წარმატება.

ჯ. ჯაბადარი.

ფრთხილად!

სილატაკისა და სიბინძურის დაავადება

საქართველოში გამეფებული ანტისანიტარიის პირობებში ინფექციური დაავადების გავრცელება კვლავ მოსალოდნელია. ბღერი (მუნი) კი ერთ-ერთი იმ დაავადებათაგანია, რომელმაც უკვე „გაარღვია“ კლასობრივი საზღვრები და დაემუქრა ყველას.

„მუნი პატარა პარაზიტული მწერია, რომელიც შედის კანში, ეპიდემისში, დებს კვერცხებს, მრავლდება და თანდათანობით ედება მთელ ტანს. საბედნიეროდ ის არ აზიანებს სახის კანსა და თავის თმიან მიდამოს. საღამოს, სითბოში, მწერები იწყებენ მოძრაობას და იწვევენ ძლიერ ქავილს. მუნი მეტად გადამდებია. თუ ეს ემართება ოჯახის ერთ წევრს, ავადდება მთელი ოჯახიც. მუნი გადადის ძირითადად ტანსაცმლით, ლოგინით, არ გადადის ხელის ჩამორთმევით. ჰიგიენის საერთო დაბალი დონე ხელს უწყობს მის გავრცელებას. მატარებელში, სასტუმროებში თეთრეული ნორმალურად არ მუშავდება. მუნი მოსახლეობაში ძირითადად მათი მეშვეობით ვრცელდება. ბოლო წლებში დაავადების შემთხვევებმა იმატა. მუნი თითქოს შეეგუა სადეზინფექციო საშუალებებს, ისევე როგორც ტილი, რწყილი, რომლებიც ახლა ასევე ძლიერად გამრავლებული.

საომარი ვითარების პერიოდში ამგვარი მდგომარეობა ბუნებრივია. დისლოკაციის ადგილებზე ჯარს არა აქვს ჰიგიენის ნორმების დაცვის საშუალება. მუნი უკვე გავრცელდა არა მარტო იმ რეგიონში, სადაც დგანან სამხედრო ფორმირებები, არამედ მთელს მოსახლეობაშიც. ყოველივე ამას ხელი შეუწყო საერთო ანტისანიტარულმა პირობებმა.

მუნის წინააღმდეგ ბრძოლას აფერხებს სამკურნალო საშუალებების უქონლობა. ყველაზე მარტივი წამალი გახლავთ გოგირდის მალამო, რომელიც მზადდება გოგირდისა და ვაზელინისაგან.

მუნის საწინააღმდეგო მზა პრეპარატები თანამეგობრობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აღარ შემოდის. ის მედიკამენტები, რომლებიც კომერციულ აფთიაქებში იყიდება, იმდენად ძვირია, რომ თითქმის ყველასთვის მიუწვდომელია“ —ასეთი განცხადება გააკეთა გაზეთ „დედამიწის“ კორესპონდენტთან საუბარში კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბადრი ჩლაიძემ. ეს ინფორმაცია ზუგდიდელებისათვისაც საგულისხმოა. ქალაქში გამეფებული ანტისანიტარია, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მორიგი ინფექციების აფეთქების კერაა.

ფრთხილად ზუგდიდელებო! კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერი უკვე აღრიცხავს მუნით ინფიცირების შემთხვევებს.

ტუნგი—უძვირფასესი კულტურა

ზუგდიდის რაიონში ტუნგის მოვლა-მოყვანის მდიდარი ტრადიცია არსებობს. 10–15 წლის წინათ რაიონში საშუალოდ წლიურად მზადდებოდა 2700–2800 ტონა „ფორდის“ ჯიშის ტუნგის ნაყოფი. უკანასკნელ პერიოდში კი კატასტროფულად დაეცა მისი მოსავლიანობა. შარშან წინა წლის მოსავლიდან დამზადდა მხოლოდ 97 ტონა თესლი, რაც წლიური საორიენტაციო მოსავლის 7 პროცენტს შეადგენდა. დიდი რაოდენობით დარჩა მინდვრად აუღებელი ნაყოფი, რის გამოც დაიკარგა 10 ათასობით მანეთის შემოსავალი.

გასული წლის მოსავლიდან მიმდინარე წელს, არის გარანტია დამზადდეს 1000–1200 ტონა ტუნგის ნაყოფი, რაც თესლზე გადაყვანით 340–350 ტონას შეადგენს.

სრულიად არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო დღემდე გასული წლის მოსავლიდან ეთერზეთების კომბინატს მიღებული აქვს 6700 კილოგრამი „ფორდის“ ჯიშის ტუნგის თესლი.

ჩამბარებლებს გვინდა ვაუწყოთ, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოქმედებს ტუნგის თესლის შესყიდვის მაღალი ფასები. 1 კილოგრამი „კორდატას“ ჯიშის ნაყოფის ღირებულება 20 მანეთია, ხოლო „ფორდის“ ჯიშის ტუნგის კონდიციური თესლის ღირებულება 35 მანეთი. მოხსნილია ყველა ის ბარიერი, რითაც ხელოვნურად ფერხდებოდა კერძო სექტორიდან ტუნგის თესლის ჩაბარება.

არც ჩაბარების ვადებშია შეფერხებები. ინდჩამბარებლებს შეუძლიათ დღესვე ჩაგვაბარონ თავიანთ ნაკვეთებზე მოწეული ნედლეული.

როგორც ყოველთვის, ასევე მიმდინარე წელსაც, ნედლეულის ჩაბარების მეოთხე დღეს, ჩამბარებელს თანხა ჩაერიცხება „საქაგრომრეწვბანკის“ ზუგდიდის განყოფილებაში. საზოგადოებრივი მეურნეობები შეძლების ფარგლებში ინდჩამბარებლებს დაეხმარებიან ნედლეულის ტრანსპორტირებაში.

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის მიმღები პუნქტი ნედლეულს მიიღებს ყოველდღიურად. მიღება იწარმოებს კომისიური წესით, ჩამბარებლის მონაწილეობით 9 საათიდან 5 საათამდე გარდა კვირა დღისა. ტუნგის ნედლეულის ჩაბარების ვადაა —1 მაისამდე.

იმისათვის, რომ შევკრიბოთ და კომბინატს ჩავაბაროთ შარშან მინდვრად დარჩენილი ნედლეული, კომბინატმა გამოყო ბრიგადები სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც შეამოწმებენ ტუნგის პლანტაციებს, გააფორმებენ სათანადო აქტებს, რათა მინდვრად არ დარჩეს არცერთი კილოგრამი ნაყოფი.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ მაისამდე დარჩენილი დრო, არ დავუშვათ დანაკარგები!

ე. სახოკია,
ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ყურადღება!

ხორბლის ფქვილის ხარისხის გაუარესების გამო ქალაქის პურკომბინატის სათაო ქარხანა გადავიდა ერთი ასორტიმენტის პურის გამოშვებაზე:

პური პირველი ხარისხის მრგვალი ან ოვალური წონა 800 გრ. ფასი 26 მანეთი. პრეისკურანტის № 001–06. ფასისა და ასორტიმენტის შემდეგი ცვლილება გეცნობებათ დამატებით.

ზუგდიდის პურკომბინატის დირექცია.

დედა ფრიდა, მამა ნოდარი, ძმა ემზარი, დები: მზევინარი, თამარი. ბებია მარგო. მამიდები: მერი, ანგელინა. ბიძიები ვაჟა, ბორისი, ვალტერი, არდაშელი ძიგუები გივი ქვარაია, გერონტი წურწუმია. ბიცოლები: თამრო, ლარისა, ლიანა, ვერკა, ლუარა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ნუგზარ ნოდარის ძე ძიგუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 მარტს, დაკრძალვა 27 მარტს ზუგდიდში, გამოსვენება წერეთლის ბოლო შესახვევი.

მეუღლე ადა, შვილები მზია, მანანა. შვილიშვილები მაია, დათო. სიძე სოსო ჩუხუა, ძმები ილია, გედევანი, და ნელიკო თორდიები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

ვანიჩქა იასონის ძე თორდიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა შაბათს, 27 მარტს, 17 საათზე ქუთაისის ქუჩა № 64.

სარედაქციო კოლეგია

მეუღლე ნორა მოლაშხია, შვილები: ნუგზარი, ანატოლი, ლიანა, რევაზი, რძლები: ლალი ზარანდია, ნაზი გომელაური ლუშა ქარდავა, შვილიშვილები: ალექსანდრე, ხათუნა, სალომე, და ტატიანა, ძმა დურუ, დისშვილები: რამინი, გუჯა, გია, ლალი, გულნაზი, ჩიტო, ძმისშვილები :ბონდო, ქენია, ნათელა, ნანული, მოკონა, კაპტო, რეზო, გონელი, ნუნუ, ლუიზა, ცოლისდა ვენერა მოლაშხია, ცოლისძმა ტიტე მალაშხია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახით იუწყებიან

ალექსანდრე (საშა) ჯოგოს ძე ფიფიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი: 25, 26 მარტს. გამოსვენება: 27 მარტს დღის 3 საათზე, ქ. ზუგდიდი ბელინსკის ქუჩა № 24-დან. დაკრძალვა წალენჯიხის რაიონი, სოფ. ეწერში.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 47 00.

რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №36, 2-23-07, ტირაჟი 600, შეკ. № 262.